ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №126

(იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან გაერთიანებული)

2021 წ. 2 დეკემბერი ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-ირაკლი თავართქილაძე,მარიამ კვერნაძე.

სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო- დავით ჯაიანი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფიცხელიანი.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომიიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი ფაზა III"-ს ფარგლებში პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე. (25.11.2021 ; 12-032132935-03)

2. „ქალაქ თბილისში, გიორგი მუხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114.10.508) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.(18.11.2021; 12-032132231-03)

3. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა, სამხედრო დასახლებაში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057.03.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (18.11.2021; 12-032132231-03)

4. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩა N107-ში არსებული 31.32 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.136.057.01.516) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (22.11.2021; N12-03213265-03)

5. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (22.11.2021; № 12-03213265-03)

6. "ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.550) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (18.11.2021; N12-032132231-03)

7. "ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N36ა-ში (მიმდებარედ ნაკვეთი N10/022, საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (18.11.2021; 12-032132231-03)

8. „ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.(12-032132231-03; 18.11.2021)

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.650) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. 29.07.2021; 12-032121023-03

10. სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის N№61.01182883 ბრძანებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (01.12.2021; 12-032133519-03)

11. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N141-ის მიმდებარედ 35 კვ.მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.08.003.066) პირდაპირი განკარგვის წესით ანარ გაჯიხალილოვისთვის (პ/ნ: 28301121221) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.(01.12.2021; 12-032133519-03)

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა წინადადება, დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგით 10-ე საკითხი უკეთ შესწავლის მიზნით ამოღებული იქნას დღის წესრიგიდან.
მომხრე- 7
დღის წესრიგი დამტკიცდა ზემოაღნიშნული წინადადების გათვალისწინებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი ფაზა III"-ს ფარგლებში პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელი -დავით ჯაიანი.
მომხსენებლმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი-ფაზა III"ის ფარგლებში დაგეგმილია 83 000 000 ევროს ოდენობის სესხის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რომელიც მიზნად ისაავს თბილისისთვის, მიმდინარე საზოგადოებრივი ტრანსპორტრის რეფორმის ფარგლებში, მაღალი ტევადობის ავტობუსების შეძენასა და ავტობუსების ახალი დეპოს მშენებლობას.
სესხის ხელშეკრულების პარალელურად, თბილისის ავტობუსის პროექტი-ფაზა III" ითვალისწინებს თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრუებაზე ხელის მოწერას, რომელიც განსაზღვრავს ამ პროექტის განხორციელებისათვის თბილისის მუნიციპაოიტეტის მიერ შესასრულებელ პირობებს.
პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტი სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული 83 000 000 ევროს ოდენობის თანხას მიიღებს ფინანსთა სამინისტრისთან შემდგომში გასაფორმებელი ქვესასესხო ხელშეკრულების საფუძველზე.

მომხრე-6. წინააღმდეგი-ვაჟა ოთარაშვილი
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლებით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გიორგი მუხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114.10.508) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ
მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გიორგი მუხაძის ქუჩა N15-ში, პირველ სართულზე მდებარე 64.34 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114.10.508) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე მარეხი მაკასარაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. შსს-ს ცნობით, დგინდება რომ მარეხი მაკასარაშვილი 2003 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მარეხი მაკასარაშვილი შვილთან ერთად 2007 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშნული პირის (1 პირს (1 ოჯახს) გადაეცემა 1 ერთეული 64.34 კვ.მ. ფართი) სიმბოლურ ფასად 1 ლარად.
მომხრე-7.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომებდაცია გასცეს და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა, სამხედრო დასახლებაში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057.03.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა, სამხედრო დასახლებაში, მეორე სართულზე მდებარე 89.93 კვ.მ ფართის ბინა N36-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057.03.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე ვალერიანე ჯავახაძისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. შსს-ს ცნობით და მეზობლების დასტურით დგინდება, რომ ვალერიანე ჯავახაძე ოჯახთან ერთად 2006-2007 წლებიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშნული პირის (1 პირს (1 ოჯახს) გადაეცემა 1 ერთეული 89.93 კვ.მ. ფართი სიმბოლურ ფასად 1 ლარად.

მომხრე-7.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცეს და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩა N107-ში არსებული 31.32 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.136.057.01.516) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩა N107-ში არსებული 31.32 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.136.057.01.516) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე თამარ ტუხაშვილის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე თამარ ტუხაშვილი დაახლოებით 20 წელია, რაც ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე; ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ მოქალაქე 1995 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცეს და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, გარკვეულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხი.2 პირს (2ოჯახს)ბესიკ წურწუმიას და ზოია კუპატაძეს, საკუთრებაში გადაეცემათ საერთო ჯამში - 99.02 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.
შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ აღნიშნული მოქალაქეები ნამდვილად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობებით დასტურდება, რომ მოქალაქე ბესიკ წურწუმია ოჯახთან ერთად 1999 წლიდან, ხოლო ზოია კუპატაძე 1995 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცეს და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.550) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში, პირველ სართულზე მდებარე 90.19 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.10.06.006.044.01.550) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ნანა მეგრელიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემასთან

დაკავშირებით. შსს-ს ცნობით დგინდება, რომ ნანა მეგრელიშვილი დაახლოებით 15 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ნანა მეგრელიშვილი მითითებულ მისამართზე შვილთან ერთად ცხოვრობს 2000 წლიდან.

მომხრე-7.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცეს და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:"ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N36ა-ში (მიმდებარედ ნაკვეთი N10/022, საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

„ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N36ა-ში (მიმდებარედ ნაკვეთი N10/022, საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.052) მდებარე უძრავი ქონება საერთო ჯამში 93,35 კვმ ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით თანასაკუთრებაში გადაეცემა 2 ოჯახს. აღნიშნული ოჯახები დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომებდაცია გასცეს და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში, პირველ სართულზე მდებარე 45.21 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.500), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ეკატერინე დეკანოიძეს. შსს-ს ცნობით და მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ეკატერინე დეკანოიძე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2000 წლიდან.

მომხრე-7.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცეს და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.650) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

2021 წლის 3 აპრილს შპს „ნიაპოლისის" წარმომადგენელმა ალექსი ზუმბულიძემ განცხადებით მიმართა სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქალაქ თბილისში, გაუქმებული „გეორგიევსკის ტრაქტატის" მიმდებარედ მდებარე 3234 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.006.429) და ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის მდებარე 152 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზება. მოქალაქის განცხადებაში აღნიშნავს, რომ საკადასტრო კოდით

რეგისტრირებულ უძრავ ქონებებზე გაცემული იყო მშენებლობის უფლება. ახალი „დედაქალაქის გენერალური გეგმის“ ფუნქციური ზონირების შესაბამისად , შპს „ნიაპოლისის“ საკუთრებაში არსებულ ორივე საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1. ამასთან N01.72.14.006.429 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს აღმაშენებლის ხეივანზე არსებულ გზაგამყოფ გამწვანების თარგს, რომელზეც განთავსებულია დედაქალაქის დასახელების აღმნიშვნელი მანათობელი „თბილისი“. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის ექსპერტიზის დასვნებით შპს „ ნიაპოლისი“-ს საკუთრებაში არსებული ორივე ქონების ჯამური საბაზრო ღირებულება წარმოადგენს 551,682 ლარს ხოლო თვითმმართველის საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულება 541 650 ლარს. ქონებებს შორის სხვაობა არის 10 032 ლარი, თუმცა კომპანიას არანაირი პრეტენზია არ გააჩნია აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

მომხრე-6. წინააღმდეგი- ვაჟა ოთარაშვილი
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N141-ის მიმდებარედ 35 კვ.მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.08.003.066) პირდაპირი განკარგვის წესით ანარ გაჯიხალილოვისთვის (პ/ნ: 28301121221) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

ანარ გაჯიხალილოვს გადაეცემა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N141-ის მიმდებარედ 35 კვ.მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.13.08.003.066) იჯარით,სარგებლობის უფლებით ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული ფიზიკური პირი სარგებლობის უფლებით ფლობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N141-ში მდებარე N01.13.08.003.033.01.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავი ქონებას 2022 წლის 15 ივნისამდე ვადით.
მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი დადებითი პოზიცია.
სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 30.07.21წ. N005382821 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის საფასური, 2021 წლის 29 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 5 040 (ხუთი ათას ორმოცი) ლარის ოდენობით, 2022 წლის 15 ივნისამდე ვადით.

მომხრე-6. წინააღმდეგი- ვაჟა ოთარაშვილი
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

დავით უთმელიძე